სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

97008979875920

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N200350172

რეგისტრაციის თარიღი

17.06.2020 წ

ნოტარიუსი: მერაბ ფარჯიკია
მისამართი: ქ. თბილისი ვ/ფშაველას 41
ტელეფონი: მობილური 591 709 989 599 19 64 09

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორიათას ოცი წლის ჩვიდმეტ ივნისს მე, მერაბ ფარჯიკიას ნოტარიუსს ქ. თბილისში რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41-ში, მომმართა შპს "ახალი დეველოპერული კომპანია"-ს დირექტორმა გიორგი იაშვილმა დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მოქალაქემ (თანახმად ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან საინდ. კოდი 405351792, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B20044289, 16/06/2020 17:19:41) რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს **შალვა მიქელაძეს** (დაბადებული; 14.08.1970წ. პირადი # 01024014178, მისამართი: ქალაქი თბილისი, სულხან ცინცაძის ქუჩა, 3, ბინა 4) მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავწმუნდი, რომ მე ნამდვილად გიორგი იაშვილმა (დაბადებული: 31.08.1993წ. დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს პასპორტი № 563578047, გაცემული: 26.11.2019წ. მისი განცხადებით დროებით მყოფი ქ. თბილისი ილია ჭავჭავაძის გამზ. 50ბ ბ. 73) მომმართა. მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და და ნების გამოვლენის ნამდვილობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა,. მან დაადასტურა რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი, წინამდებარე მინდობილობას.

მინდობილობა

მე, შპს "ახალი დეველოპერული კომპანია"-ს (ს/კ 405351792) დირექტორი გიორგი იაშვილი, რომელიც შემდგომში წოდებულია, როგორც „მიმნდობი", **შალვა მიქელაძეს,** რომელიც შემდგომში წოდებულია როგორც „მინდობილი", ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

1) მართოს უძრავი ქონება, მდებარე: ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა 40ა, ს/კ # 01.14.05.008.126 რაზედაც იყოს ჩემი წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებაში, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში, მუნიციპალიტეტის მერიაში, ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურში, გამგეობაში, საკრებულოში, უძრავი ქონების მარეგისტრირებელ ორგანოში, სანოტარო ბიუროში, შემოსავლების სამსახურში, იუსტიციის სახლში (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტო, სამეწარმეო რეესტრი, არქივი), მოახდინოს ფართის კორექტირება, სტატუსის შეცვლა და შესაბამისად ახალი რეგისტრაცია, აიღოს ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, შესაბამისად მოახდინოს აქტებში ცვლილებები, ასევე იყოს ჩემი წარმომადგენელი ისტორიულ არქივში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, სსიპ ქონების მართვის სააგენტოში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, საკუთრების აღიარების კომისიაში, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტროს მიწის მართვის სამსახურში, ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურში. აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოადგინოს ჩემი ინტერესები აზომვითი ნახაზის, პროექტის შედგენისას, ჩაატაროს აზომვითი სამუშაოები, მიიღოს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება, მოამზადოს სამშენებლო პროექტი, შეათანხმოს სამშენებლო დოკუმენტაცია მერიის შესაბამის სამსახურებთან, მოახდინოს შეთანხმებული პროექტის კორექტირება, ჩაატაროს სარეკონსტრუქციო სამუშაოები, აიღოს მშენებლობის ნებართვა და აწარმოოს მშენებლობა, გააგრძელოს მშენებლობის ნებართვის ვადა, ასევე იყოს ჩემი წარმომადგენელი არქიტექტურაში, ასევე მოახდინოს ქონების გამიჯვნა, გაყოფა, ლეგალიზაცია, დაკანონება, გაერთიანება, აწარმოოს ყველა გარიგების გაანგარიშება, მოახდინოს უძრავი ქონების რეგისტრაცია, გადაიხადოს ჩემი სახელით მოსაკრებლები და ნებისმიერი გადასახადები, უზრუნველყოს დამტკიცებული პროექტის გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ზედამხედველობა, ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტებს და განსაზღვროს იმ ხელშეკრულებებისა და შეთანხმების პირობები, რაც ამ დავალების შესრულებასთან იქნება დაკავშირებული გაყიდვის და იპოთეკით დატვირთვის უფლების გარეშე.

- წინამდებარე მინდობილობა გაცემულია 1 (ერთი) წლის ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე. მინდობილობა შეიძლება შეწყდეს ნებისმიერ დროს. შეწყვეტა უნდა გაფორმდეს სანოტარო წესით.
- აღნიშნული მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად ერთი ინახება სანოტარო ბიუროში ხოლო დანარჩენი გადაეცათ მხარეებს.
- მინდობილობას თან ერთვის: ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან საინდ. კოდი 405351792

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" (29.12.2011წელი, საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507) 10 (ათი) ლარი – მუხლი 31, დღგ 1.80 ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, 2 (ორი) ლარი ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის – მუხლი 39, თანახმად ზემოთ მითიებული დადგენილებისა.

მიმნდობის ხელმოწერა: გიორგი იაშვილი

ნოტარიუსი მერაბ ფარჯიკია